

პოლიტიკური ნეოლოგიზმების მორფოლოგიური ანალიზი ქართულ
ციფრულ მედია დისკურსში

**A Morphological Analysis of Political Neologisms in Georgian Digital
Media Discourse**

ეკა ფუხაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Eka Pukhashvili

Tbilisi State University

Abstract

Continuous transformations of the socio-political space are formed by digital technologies. The 21st century is the era of digital media, where the thoughts and beliefs of people are shaped by the influence of the internet and media. Media discourse is a multidisciplinary field, that depicts the state of society, reflects both positive and negative sides of its development.

The **relevance** of this article is determined by the popularity of the media space and politics and their impact on the process of language formation. We all know, that language is a living mechanism and constantly follows the pace of society development. The vocabulary of any language is responsive to all changes in various spheres of human life. Consequently, this leads to the emergence and formations of new words and language structures. The Internet, which is considered to be the leading type of mass media, plays a vital part in the spread of neologisms. Moreover, the media space itself contributes to the spread of neologisms. Therefore, the study of interaction between political language and mass media can provide valuable information for linguistics.

“Political language” differs from ordinary language. Generally, politicians create new words and expressions simultaneously or on purpose. Correspondingly, their goal is to affect people, play with words, disguise the truth, cover up scandals and shape public opinion. Behind such neologisms, sometimes something different is meant and carries the opposite meaning.

We can say, that political language is a powerful tool for forming favourable views of the surrounding society. In addition, these lexical units improve the consciousness of a language user to the depicted event, and media plays a significant role in this.

საკვანძო სიტყვები: ნეოლოგიზმები, პოლიტიკური ნეოლოგიზმები, მორფოლოგიური პროცესები, ციფრული მედია დისკურსი

Keywords: Neologisms, Political Neologisms, Morphological Processes, Digital Media Discourse

შესავალი

ენა ცოცხალი მექანიზმია, რომელიც მუდმივად იცვლება და ვითარდება. ყველა ერის ლექსიკური მარაგი ივსება ახალი ცნებებით და შესაბამისად, ახალი სიტყვებით ანუ ნეოლოგიზმებით. ოცდამეერთე საუკუნე ციფრული მედიის ეპოქაა, რომელიც ხელს უწყობს ამ ნეოლოგიზმების სწრაფად გავრცელებას. პოლიტიკა ის სფეროა, სადაც პოლიტიკოსები თავად ქმნიან პოლიტიკურ ნეოლოგიზმებს და იყენებენ მათ თვითპრეზენტაციისთვის და საზოგადოებაში სასურველი აზრის ჩამოყალიბებისთვის. აქედან გამომდინარე, საინტერესო იქნება ქართულ ციფრულ მედია სივრცეში დაფიქსირებული პოლიტიკური ნეოლოგიზმების შესაქმნელად გამოყენებული მორფოლოგიური პროცესების კვლევა.

კვლევის მიზანია პოლიტიკური ნეოლოგიზმების მორფოლოგიური ანალიზი შემდეგი სხვადასხვა მორფოლოგიური პრინციპების მიხედვით.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგ საკვლევ შეკითხვებს გაეცეს პასუხი:

- 1.დერივაციული და ფლექსიური მორფემების იდენტიფიცირება პოლიტიკურ ნეოლოგიზმებში;
- 2.პოლიტიკურ ნეოლოგიზმებში გამოყენებული სიტყვათწარმოების სტრუქტურების ანალიზი;
- 3.პოლიტიკური ნეოლოგიზმების სესხების ტიპების ანალიზი;
- 4.მორფოლოგიური ადაპტაციის ეტაპების განსაზღვრა ნასესხებ პოლიტიკურ ნეოლოგიზმებში;

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდი. რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით დავადგინე სრული ემპირიული მასალიდან რამდენი პოლიტიკური ნეოლოგიზმი მიეკუთვნებოდა სხვადასხვა მეტყველების ნაწილებს, კერძოდ, რამდენი არსებითი სახელი იყო, რამდენი ზედსართავი სახელი და რამდენი ზმნა. შემდეგ კი გამოვთვალე მათი პროცენტული მაჩვენებელი. ასევე, რაოდენობრივი მეთოდით გამოვთვალე ჩემს მიერ მოპოვებული პოლიტიკური ნეოლოგიზმების წარმოებისა და მორფოლოგიური ადაპტაციის ტიპების პროცენტულობა. რაც შეეხება თვისებრივ მეთოდს, ამ მეთოდით გავაანალიზე შემდეგი მასალა: 1. თუ რომელ მეტყველების ნაწილებს მიეკუთვნებოდა ქართულ ციფრულ მედია-დისკურსში მოძიებული პოლიტიკური ნეოლოგიზმები, 2. წარმოების ტიპები-სესხება, დერივაცია, კომპოზიცია, 3. გამოვყავი დერივაციული და ფლექსიური მორფემები და დავადგინე მათი დანიშნულება, 4. გავაანალიზე სესხების ტიპები, 5. დავადგინე მორფოლოგიური ადაპტაციის ტიპები. ემპირიული მასალა მოპოვებულია სხვადასხვა პოლიტიკური გაზეთებისა და გადაცემების ჩანაწერების ვებგვერდებიდან. რამდენადაც ჩემი მიზანი იყო უახლესი პოლიტიკური ნეოლოგიზმების აღმოჩენა/ანალიზი, ჩემს მიერ მოძიებული მაგალითები 2023-2024 წლებს მოიცავს. ასევე, მოპოვებული მასალა გადავამოწმე ქართული ენის კორპუსებში(პარალელური კორპუსი და ქართული ენის ეროვნული კორპუსი).კორპუსების დახმარებით დავაფიქსირე აღნიშნული ნეოლოგიზმების გამოყენების შემთხვევები და ზოგადად, მათი გამოყენების მაგალითები დერივაციულ და ფლექსიურ პარადიგმებში.

იქიდან გამომდინარე, რომ ნეოლოგიზმის ცნებაზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს და ის რასაც ერთი მკვლევარი მიიჩნევს ნეოლოგიზმად, მეორე მკვლევარმა შეიძლება ბარბარიზმად მიიჩნიოს. წარმოვადგენ იმ ავტორთა მოსაზრებებს, რომელთა თეორიასაც დავეყრდენი პოლიტიკური ნეოლოგიზმების არჩევისას:

ქაბრე(1999:205)წარმოადგენს ნეოლოგიზმის განმსაზღვრელ რამდენიმე პარამეტრს:

1. დიაქრონია: ერთეული ნეოლოგიზმია, თუ ის ბოლოს ხანებში გამოჩნდა;
2. ლექსიკოგრაფია: ერთეული ნეოლოგიზმია, თუ ის არაა ლექსიკონში;

3. სისტემური არასტაბილურობა: ერთეული ნეოლოგიზმია, თუ ის ავლენს ფორმის ან სემანტიკური არასტაბილურობის ნიშნებს(მორფოლოგიური, ფონეტიკური, გრაფიკული);

4. ფსიქოლოგია: ერთეული ნეოლოგიზმია, თუ მოსაუბრეები მას აღიქვამენ ახალ ერთეულად;

ბოიკოს თანახმად(2023:1) ლექსიკოგრაფების მიერ “ახალი სიტყვის” ანუ ნეოლოგიზმის ლექსიკონებში რეგისტრაცია ნიშნავს, რომ მათ გაიარეს სალექსიკონო სიტყვა-სტატიის საფეხურები და განიცადეს ნაწილობრივი ან სრული ასიმილაცია, კერძოდ, ლექსიკალიზაცია და აღიარება მეტყველებაში და წერაში.

ალჯიოს(1991:2) მიხედვით “ახალ სიტყვად”-ნეოლოგიზმად სიტყვის ის ფორმა, ან ამ ფორმის გამოყენების ის “შემთხვევა” ითვლება, რომლებიც ზოგად ლექსიკონებში არ არის ჩანერილი.

ამ ავტორთა მოსაზრებებზე დაყრდნობით, შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს მიერ მოპოვებული ემპირიული მასალა არ ფიქსირდება ლექსიკონებში და შესაბამისად, ატარებენ ნეოლოგიზმების სტატუსს. ქართულ ციფრულ მედია დისკურსში მოძიებული პოლიტიკური ნეოლოგიზმები შევამოწმე ქართულის ენის განმარტებით ლექსიკონში და უცხო სიტყვათა ლექსიკონში.

სამეცნიერო ლიტერატურაში ნეოლოგიზმების კლასიფიკაციის სხვადასხვა ვარიანტი არსებობს. ჩემი კვლევა ეფუძნება კლასიფიკაციის შემდეგ ტიპებს:

აკუტი(2020:5) განიხილავს მორფოლოგიურ პროცესებს რომლებიც ფიქსირდება ნეოლოგიზმების წარმოებისას:

1. შერწყმა; 2. რედუქციაცია; 3. ნასესხობა; 4. აფიქსაცია; 5. კონვერსია; 6. აბრევიატურა; 7.აკრონიმი; 8. სიტყვის შეკვეცა; 9. შერევა; 10. ონომატოპეა; 11. ანტონომაზია.

ალჯიო(1991:3) ახალი სიტყვების შექმნის 6 მთავარ ეტიმოლოგიურ წყაროს ასახელებს:

1. შექმნა (Creating);
2. სესხება (Borrowing);
3. შერწყმა/შერთება (Combining);
4. შემოკლება (Shortening);

5. ბლენდინგი (Blending);
6. გადაწევა/გადანაცვლება (Shifting).

ლიტერატურის მიმოხილვა

o მედია დისკურსი

ზაილანი(2019:297) სტატიაში აღნიშნავს, რომ მედია სივრცე ინფორმაციის გავრცელების ძლიერი იარაღია ხალხის დიდ რაოდენობასთან და ნებისმიერ მანძილზე. მასმედია საკმაოდ ვრცელია და ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებს სხვადასხვა საშუალებებს-ტელევიზია, რადიო, ჟურნალ-გაზეთები, ფილმები და ინტერნეტი. საზოგადოებისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში მედია დიდ როლს თამაშობს. აქედან გამომდინარე, ის ცვლილებების ერთ-ერთი ფაქტორი და შუამავალია. ის გავლენას ახდენს მოსახლეობაზე, როგორც განათლებულზე, ასევე გაუანათლებელზე. შეიძლება ითქვას, რომ მედია მანიპულაციას მიმართავს და განზახ იყენებს ისეთ “საშუალებებს”, რომლებიც მკითხველთა/მაყურებელთა ყურადღებას იპყრობს.

მედია ტექსტი ისევე როგორც სხვა ნებისმიერი ტექსტი არის კომუნიკაციის კონკრეტული აქტი და “თანამედროვე” ენის არსებობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა. მისითვის დამახასიათებელია არა მარტო ინფორმაციის გადაცემა, არამედ მკითხველზე გავლენის, შთაბეჭდილების მოხდენა და სწორედ ესაა მისი პრაგმატული მიმართულება.

ალჯიოს(1991:3) თქვით, რომ ახალი სიტყვების უმრავლესობის პოვნა გაზეთებში, ჟურნალებში და წიგნებში შეიძლება. თუმცა ზეპირმეტყველების სხვა უნარებიც არანაკლებ ვალიდური წყაროა.

მატიელო(2016:116) გამოყოფს მედიას, როგორც ერთ-ერთ ჩვეულ ადგილს, სადაც ნეოლოგიზმები იქმნება და გვხვდება: ჟურნალისტები თუ რეკლამის შემქმნელები ახალ სიტყვებს ქმნიან აუდიტორიის მისაზიდად, მათში ინტერესის აღსაძვრელად, მათ გონებაზე ზეგავლენის მოსახდენად.

როგორც ქრისი (2017:545)აღნიშნავს, ნეოლოგიზმები პოპულარულები ხდებიან მედიის დახმარებით, და სწორედ მედია სივრცეში ეცნობიან მომხმარებლები

ამ ახალ სიტყვებს. ნეოლოგიზმების საკვლევად გაზეთებიდან აღებულ მასალას მიიჩნევს ყველაზე ღირებულად, რადგან გაზეთები მიუთითებს თუ რამდენად გამოიყენება რეალურ სამყაროში ეს ნეოლოგიზმები, რამდენადაც ისინი ყოველდღიურად გამოიყენება და შეხება აქვს მოსახლეობის ფართო მასებთან.

ესინას(2020:9) აზრით, ნეოლოგიზმების სწრაფ გავრცელებას ხელს უწყობს ინტერნეტის და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების სწრაფი ტემპი. ინგლისური არის თანამედრო სამყაროს ლინგვა ფრანკა. ინგლისურში შექმნილი ნეოლოგიზმები კი ვრცელდება ინტერნეტის დახმარებით. ინტერნეტი ითვლება მასმედიის მთავარ წყაროდ. ის გვანვდის უზარმაზარ ტექნიკურ შესაძლებლობას მასობრივი კომუნიკაციისთვის, ინფორმაციის გადაცემისთვის. ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკური დისკურსისთვის.

o ნეოლოგიზმების შექმნის ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მიზეზები

როგორც მათიელო(2016:115) აღნიშნავს, ნეოლოგიზმების ფუნქცია ენის ლექსიკის გამდიდრებაა.

შამნე და რეთსი(2015:72) საუბრობენ შემდეგ ექსტრალინგვისტურ საკითხებზე, რომლებიც გავლენას ახდენს ნეოლოგიზმების შექმნაზე:

1.სამეცნიერო და ტექნიკური პროგრესი,შესაბამისად, ახალი საგნების და მოვლენების სახელდების საჭიროება;

2. გლობალიზაცია;

3. ინტერნეტის გავრცელება;

ასევე ავტორები აღწერენ შიდა ლინგვისტურ ფაქტორებს:

1. ენობრივი ეკონომია;

2. ენობრივი საშუალებების გამომხატველობითი ფუნქცია;

3. ლექსიკის სისტემატიზაცია;

4. ენობრივი ნიშნების გაერთიანება;

5. კონვერსია;

6. სიტყვების სტილისტურ გამოყენებაში მომდინარე ცვლილება.

მირცხულავას და მაშას მოსაზრებით(2023:138) თანამედროვე ქართულ ენაში და შესაბამისად, მედიაში ბევრი ნეოლოგიზმი წარმოიქმნა, რაც განპირობებულია:

1. სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ცვლილებებით;
2. ღია და მუდმივი ურთიერთობებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან;
3. მიგრაციის პროცესებით და ა.შ.

აკუტი(2020:1)და ქრისი(2017:545) მიიჩნევენ, რომ ის ცვლილებები, რომლებიც ენაში ახალი სიტყვის შექმნითაა გამოწვეული, ასახავს იმ რეალურ სიტუაციებს, რომელშიც საზოგადოება იმყოფება. ხშირად, ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, როგორცაა ომი, პანდემია, ინტერნეტი, გლობალიზაცია ხელს უწყობენ დიდი რაოდენობით ნეოლოგიზმების შექმნა/სესხებას.

მოსინის(2013:818) აზრით იმ ინფორმაციის რაოდენობა, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ვაწარმოებთ, ბევრად აღემატება ინფორმაციის დაგროვილ რაოდენობას, როელიც ჩვენ წინა თაობებში ვაწარმოეთ. აქედან გამომდინარე, საჭიროება მოითხოვს ჩვენს ცხოვრებაში შემოსული ახალი ნივთების/მოვლენების სათანადო სახელდებას.

ესინა(2020:9) ფიქრობს, რომ ნებისმიერი ენის ლექსიკური მარაგი იცვლება და რეაგირებს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე ცვლილებებზე. საზოგადოების საჭიროებები იწვევს ნეოლოგიზმების აღმოცენებას და შემდეგ გავრცელებას. შესაბამისად, კონკრეტულ ენაში შექმნილი ნეოლოგიზმები შემდეგ ვრცელდება ენობრივი თუ კულტურული ურთიერთობის ფონზე. ენის ახალი სიტყვების მარაგი ყოველთვის ასახავს პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ და კულტურულ სფეროში მიმდინარე ცვლილებებს და საკითხებს.

ინტერნეტის შექმნის და გავრცელების ერაში გარდაუვალია ტექნოლოგიური და სოციალური განვითარება და პროგრესი. შესაბამისად, იქმნება ახალი ცნებები, საგნები და გარდაუვალია ნეოლოგიზმების რაოდენობის სწრაფი ზრდა. თუმცა ნეოლოგიზმები არ იქმნება მხოლოდ ახალი მოვლენების სახელდებისთვის, არამედ იმისთვის რომ აღამიანებმა მეტი გამომხატველობა და ემოცია მიანიჭონ ნათქვამს, განსაკუთრებით მედია და პოლიტიკურ სივრცეებში(Lin, M. 2013:54).

კერემანსი(2015:37) ახალი სიტყვების შექმნის შემდეგ მიზნებს ასახელებს:

- > სახელდების საჭიროება;

➤ სტილისტური ეფექტის გაძლიერება ფორმალურ ან შემოქმედებით წერილებში/ნამუშევრებში;

➤ დიალოგის დროს გაუაზრებლად შახალი სიტყვების შექმნა, როდესაც სპონტანურად ვერ იხსენებენ უკვე არსებულ სიტყვას ან როცა ლექსიკონშიც არ მოიძებნება შესაბამისი ფორმა.

ლინის აზრით(2013:57)ნეოლოგიზმების შექმნის მოტივი არ არის მხოლოდ ფუნქციური საჭიროებები, ახალი მოვლენების თუ საგნების აღნიშვნები, არამედ ეს პროცესი დაკავშირებულია ენის მომხმარებლის ფსიქოლოგიურ საჭიროებებზე. შესაბამისად, ნეოლოგიზმები არ იწარმოება ახალი ნივთების აღწერისთვის, ისინი იქმნება ენის მომხმარებლის აღწერის ახალი სტილისა და ენის მნიშვნელობის დაკავშირებისთვის.

o ნეოლოგიზმის განმარტებები

სიტყვა „ნეოლოგიზმის“ უამრავი განმარტება არსებობს. კემბრიჯის ინგლისური ენის ლექსიკონი ნეოლოგიზმს ასე განმარტავს: „ახალი სიტყვა, გამონათქვამი ან უკვე არსებული სიტყვის ახალი მნიშვნელობა“(<https://dictionary.cambridge.org>).

ალჯოს(1991:3) მიხედვით ნეოლოგიზმები- ახლად შექმნილი სიტყვები ან არსებული სიტყვის ახალი მნიშვნელობები მუდმივად შემოდის ენაში. ის აღნიშნავს, რომ როგორც სამყარო იცვლება მუდმივად სხვადასხვა გამოვლენებით, აღმოჩენებით, რევოლუციებით, ევოლუციებით და პირადი ტრანსფორმაციებით, ასევე იცვლება ამ სიახლეების აღმწერი ენაც.

ზაილანი(2019:305) ეთანხმება რეის(Rey, 1995) მოსაზრებას, რომ ნეოლოგიზმი აღნიშნავს იმ ახალი სიტყვების წარმოების პროცესს, რომლის მიზანიც ახალი ცნებების, იდეების, საგნების სახელდებაა.

ლინი(2013:57) აღნიშნავს, რომ ნეოლოგიზმები იქმნება არა მხოლოდ ახალი ნივთის ან მოვლენის სახელდებისთვის, არამედ ენის მომხმარებლის ფსიქოლოგიური მოთხოვნისთვის და შინაგანი მოტივაციით.

გუოუს(2023:79) თანახმად მეცნიერებისა და ტექნოლოგიების პროგრესმა განაპირობა ბევრი ნეოლოგიზმების აღმოცენება. პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცვლილებების ფონზე ახალი იდეები და ნივთები გაჩნდა და ჩნდება მუდმივად, რომლებიც ამდიდრებენ ხალხის სულიერ და

მატერიალურ ცხოვრებას. მსოფლიო ძალიან სწრაფად ვითარდება და ერთმანეთს ენაცვლება ახალი მოვლენები და საგნები. შესაბამისად, ნეოლოგიზმებიც. სხვადასხვა ნეოლოგიზმი სხვადასხვა პერიოდში გვხვდება და კონკრეტული პერიოდის ინდიკატორიც კი შეიძლება იყოს.

სენაპატი და ნაგი(2022:1) მიიჩნევენ, რომ ტერმინი ნეოლოგიზმი გულისხმობს ახლად შექმნილ სიტყვას ან ფრაზას, რომელიც თანდათან ფართოდ გამოიყენება. მაგრამ ზოგჯერ ისეთი მოვლენები, როგორცაა ომი, პანდემიები, კომპიუტერი, ინტერნეტი დიდი რაოდენობით სიტყვების შემოღინებას უწყობენ ხელს, ან ახალი სიტყვების დიდი რაოდენობით შექმნას.

ქაბრე(1999:203)ფიქრობს, რომ ახალი ცნებისა და შესაბამისად, ახალი აღნიშვნის-ნეოლოგიზმის გამოჩენა თანადროული პროცესებია. ახალი სახელი იმ საზოგადოების ენაში ჩნდება, რომელმაც შექმნა ეს ახალი ცნება.

კერემანსის(2015:15)მიხედვით, ნეოლოგიზმი არის ახალი სიტყვა, რომელიც წარმოიქმნა ბერძნული სიტყვა *neo* "ახალი" და *logos* "სიტყვა"-დან. ნეოლოგიზმები, როგორც ლექსიკური გამდიდრების წყარო ენის დინამიკური გამოყენების და განვითარების თანდაყოლილი ნაწილებია, როგორც სინქრონული, ისე დიაქრონული გადმოსახედიდან.

o პოლიტიკური ნეოლოგიზმების რაობა და დანიშნულება

აბა(Abba 2013:118) ფიქრობს, რომ პოლიტიკა ახალი სიტყვების წარმოსაქმნელად, ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული წყაროა. ამ სფეროში ნეოლოგიზმები ხშირად გამოიყენება პოლიტიკური ან რიტორიკული აზრის დაფიქსირებისთვის. უფრო მეტიც, პოლიტიკოსების ხელში პოლიტიკური ნეოლოგიზმები საკმაოდ ძლიერი იარაღია ხალხში სასურველი აზრის და დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად.

ზაილანის მოსაზრებით(2019:298) ენა და “პოლიტიკური კამპანია/აგიტაცია” სინონიმებია, რამდენადაც “აგიტაცია” ვერ იქნება ნაცოფიერი, “დამატყვრებელი ენის” გამოყენების გარეშე. ის აღნიშნავს რომ, “პოლიტიკური კამპანია” ხალხის დასარწმუნებლად გამიზნული საკომუნიკაციო აქტია და მიზნად ისახავს, მხარდაჭერის მობილიზაციას, გავლენის მოსაპოვებელ მოქმედებებს. შესაბამისად, “კამპანია” მოიცავს ინდივიდის ან ხალხთა ჯგუფის მოქმედებებს, რომლებიც გამიზნულია კონკრეტულ სიტუაციაში ზემოქმედების/მანიპულაციის მოსახდენად და ადამიანთა ქცევის სამართავად.

ჰადის(2019:1) თანახმად მთლიანი პოლიტიკური ლექსიკა ნეოლოგიზმებია.ის აღნიშნავს, რომ ახალი სიტყვების შექმნა, რომლებიც ნეოლოგიზმების სახელითაა შესული პოლიტიკურ ლექსიკონში, მთავრობასა და საზოგადოებას შორის დიალოგის შედეგია.ეს ნიშნავს რომ, პოლიტიკოსები დახელოვნებულნი არიან ნეოლოგიზმების შექმნით,რითაც გავლენას ახდენენ პოტენციური ამომრჩევლის გონებაზე.

ესინა(2020:2) განიხილავს პოლიტიკური ნეოლოგიზმების შექმნის შემდეგ მიზეზებს:

1. სიტყვებით მანიპულაცია;
2. აუდიტორიაზე გავლენის მოხდენა და ბიძგი კონკრეტული მოქმედებისკენ;
3. მომავალი ამომრჩევლის ზემოქმედების ქვეშ მოქცევა.

რომოუვენკო(2022:62) პოლიტიკურ დისკურსს ახასიათებს, როგორც სიახლეების ფუნქციონირების ერთ-ერთ ყველაზე დიდ სივრცეს, რამდენადაც ლექსიკური ერთეულების განახლების ინტენსიური პროცესი აქ მიმდინარეობს. პოლიტიკური ნეოლოგიზმები საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებისას იქმნება და როგორც პოლიტიკური ლინგვისტიკის საგანი, ისინი ენის სოციო-პოლიტიკურ ლექსიკას მიეკუთვნებიან. შესაბამისად, პოლიტიკური ლინგვისტიკის მიზანი სოციო-პოლიტიკური მოვლენების და ენაში მიმდინარე ცვლილებების ურთიერთკავშირის მაჩვენებელი ფაქტების იდენტიფიცირებაა.

I. პოლიტიკური ნეოლოგიზმების ანალიზი სესხების ტიპების მიხედვით

ქართულ ციფრულ მედია-დისკურსში მოპოვებული პოლიტიკური ნეოლოგიზმების უმრავლესობა ნასესხები სიტყვებია, კერძოდ, ინგლისური ენიდან. მეორე მხრივ ნაწილი კი დერივაციითა მიღებული(იხ.ცხრილი I).მიღებული შედეგი, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, ინგლისურის, როგორც 21-ე საუკუნის ლინგვა ფრანკას ზემოქმედებას, ასევე პოლიტიკაში ინტერნეტის, გლობალიზაციისა და მედიის როლს.

ქართული პოლიტიკური ნეოლოგიზმები მეტყველების ნაწილების მიხედვით(ცხრილი I)

არსებითი სახელი	ზედსართავი სახელი	ფრაზები	ზმნა
ლუზერები(სესხება)	პენიტენციური(სესხება)	რუსული ოცნება	ვკულტივირებ(სესხება)კულტივირება
პანელი(სესხება)	პროდასავლური(დერივაცია)		
მოდერაცია(სესხება)	ინიცირებული(სესხება)		
კონტრაქტორი(სესხება)	ელექტორალური(სესხება)		
ჰაბი(სესხება)	ანტიდასავლური(დერივაცია)		
დასანქცირება(სესხება)	პრორუსული(დერივაცია)		
ტირაჟირება(სესხება)	ტრანზაქციული(სესხება)		
მედიაცია(სესხება)	მრავალვექტორული(სესხება)		
ევროინტეგრაცია(სესხება)	პოლარიზებული(სესხება)		

ქართული პოლიტიკური ნეოლოგიზმები მეტყველების ნაწილების მიხედვით(ცხრილი I)

არსებითი სახელი	ზედსართავი სახელი	ფრაზები	ზმნა
სპეკულირება (სესხება)	კონცეპტუალური(სესხება)		
ელექტორატი (სესხება)	პუტინისტური(დერივაცია)		
ინტერნეტპორტალი(სესხება)	სტალინისტური (დერივაცია)		
ნაცები	რელევანტური(სესხება)		
ქოცები	კლუბტოკრატიული(სესხება)		
ენჯეო სექტორი(სესხება)	ფეიკი(სესხება)		
დემონიზაცია(სესხება)	კორუმპირებული(სესხება)		
ვიზიტორი(სესხება)	ინოვაციური(სესხება)		
აქტორი(სესხება)	ეგზოტოპი(სესხება)		
იმპლემენტაცია(სესხება)	მარეგლამენტირებული(სესხება)		

ქართული პოლიტიკური ნეოლოგიზმები მეტყველების ნაწილების მიხედვით(ცხრილი I)

არსებითი სახელი	ზედსართავი სახელი	ფრაზები	ზმნა
გარანტორი(სესხება)			
ალოკაცია(სესხება)			
ენგვიტმენტი(სესხება)			
ოპონირება(სესხება)			
ფორსირებულობა(სესხება)			
პუტინიზმი(დერივაცია)			
ფრუსტრაცია(სესხება)			
უზურბაცია(სესხება)			
ლეგიტიმაცია(სესხება)			
ნოუჰაუ(სესხება)			

ქართული პოლიტიკური ნეოლოგიზმები მეტყველების ნაწილების მიხედვით(ცხრილი I)

არსებითი სახელი	ზედსართავი სახელი	ფრაზები	ზმნა
სტაგნაცია(სესხება)			
დეოკუპაცია(სესხება)			
რეზერვისტი(სესხება)			
ბიომონიტორინგი(სესხება)			
სანაცეთი(დერივაცია)			
აპარტეიდი(სესხება)			
კონფორმიზმი(სესხება)			
მოდერნიზატორი(სესხება)			
იზოლაციონიზმი(სესხება)			
აგრესორი(სესხება)			

ქართული პოლიტიკური ნეოლოგიზმები მეტყველების ნაწილების მიხედვით(ცხრილი I)

არსებითი სახელი	ზედსართავი სახელი	ფრაზები	ზმნა
რეგლამენტი(სესხება)			

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, პოლიტიკური ნეოლოგიზმების უმრავლესობა არსებითი სახელია, რადგან ახალი ცნებები და საგნები უფრო ხშირად იქმნება, რაც თავისთავად მოითხოვს არსებითი სახელის შექმნის საჭიროებას. ასევე, მათი უმრავლესობა სესხებითაა მიღებული. კერძოდ, რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ასეთი შედეგი ფიქსირდება: არსებითი სახელი-66,1%, ზედსართავი სახელი-31%, ზმნა-2%, ფრაზა-2%; მეორე მხრივ, 83%-სესხების მაგალითია, 16.3% კი დერივაციის და კომპოზიციის;

ამიტომ მიღებული შედეგი გავაანალიზოთ ლომიძეს(2008:31) მიერ გამოყოფილი სესხების შემდეგი ტიპების მიხედვით:

- > პირდაპირი სესხება;
- > სესხება-თარგმნა;
- > სემანტიკური სესხება.

ჩემი კვლევის ფარგლებში მოპოვებული პოლიტიკური ნეოლოგიზმების უმრავლესობა პირდაპირი სესხების გზითაა შემოსული, რაც ნიშნავს რომ ნასესხებია როგორც ფორმა, ასევე მნიშვნელობაც.

შემდეგ ეტაპზე ნეოლოგიზმები გავაანალიზოთ ლომიძეს(2008:32) მიერ წარმოდგენილი პირდაპირი სესხების ქვეტიპების მიხედვით:

- > სრულიად არაადაპტირებული სიტყვები, მაგალითად მედიაცია, მოდერაცია, ენჯლო სექტორი, ვიზიტორი, აქტორი და ა.შ;
- > უცხო ფორმა/ჟღერადობა შენარჩუნებული სიტყვები-ამ ქვეტიპს ძირითადად ტერმინები მიეკუთვნება-ლევიტიმაცია, რეგლამენტი;

➤ სრულად ინტეგრირებული სიტყვები-ადრეულ ეტაპზე ნასესხები სიტყვები, რომლებიც ქართული დერივაციული აფიქსებით თავად აწარმოებენ უკვე ახალ სიტყვებს-ინიცირება-დაინიცირება-ინიცირებული, ოკუპაცია-ოკუპირებული და ა.შ.

ცხრილში წარმოდგენილი ემპირიული მასალის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი უმრავლესობა პირდაპირი სესხების პირველ და მესამე ქვეტიპს განეკუთვნება.

II. პოლიტიკური ნეოლოგიზმების ანალიზი მორფოლოგიური ადაპტაციის ტიპების მიხედვით

როგორც ზემოთ ვახსენე, ჩემს მიერ ციფრულ მედიაში დაფიქსირებული პოლიტიკური ნეოლოგიზმების უმრავლესობა არის ინგლისურიდან ნასესხები სიტყვები. გავანალიზოთ მათი მორფოლოგიური ადაპტაცია ლომიძეს(2008:36,37) მიერ წარმოდგენილი მორფოლოგიური ადაპტაციის ვარიანტების მიხედვით:

➤ ნულოვანი ტრანსმორფემიზაცია: როდესაც ნეოლოგიზმს იგივე ფორმა და მნიშვნელობა აქვს შენარჩუნებული, როგორც მის ინგლისურ ეტიმონს. ჩემი კვლევის თარგმლებში მოპოვებული მასალიდან ასეთ სიტყვებს მიეკუთვნება:

- პანელი-panel;
- კონტრაქტორი-contractor;
- ჰაბი-hub;
- ელექტორატი- electorate;
- ვიზიტორი- visitor;
- აქტორი-actor;
- გარანტორი- guarantor;
- ენგეიჯმენტი-engagement;
- პუტინიზმი- putinism;
- ნოუჰაუ-nohow;
- რეზერვისტი-reservist;
- ფეიკი-fake;

- კონფორმიზმი-conformism;
- მოდერნიზატორი- modernizator([Romanian terms suffixed with -tor](#));
- ლუზერი- loser;
- ინტერნეტ-პორტალი- internet portal;
- ენჯეო სექტორი- NGO sector;
- ბიომონიტორინგი-biomonitoring;
- აპარტეიდი-apartheid;
- ეგზიტპოლი- exit poll;
- იზოლაციონიზმი-isolationism;

➤ კომპრომისული ტრანსმორფემიზაცია: როდესაც ნეოლოგიზმი ინარჩუნებს ინგლისური ეტიმონის სუფიქსს. მაგალითად:

- დემონიზაცია- demonization;
- იმპლემენტაცია- implementation;
- ალოკაცია- allocation;
- მოდერაცია-moderation;
- მედიაცია- mediation;
- ფრუსტრაცია-frustration;
- უზურბაცია- usurpation;
- ლეგიტიმაცია-legitimation;
- სტაგნაცია-stagnation;
- დეოკუპაცია- deoccupation;

➤ სრული ტრანსმორფემიზაცია: ინგლისური ეტიმონის სუფიქსს შესაძლოა ჩაენაცვლოს მიმღები ენის სუფიქსი, იგივე ფუნქციით და მნიშვნელობით, როგორც ინგლისური სუფიქსია. მაგალითად:

- კლეპტოკრატიული-kleptocratic;

- რელევანტური-relevant;
- ინოვაციური-innovatory;
- კორუმპირება- corruptible;
- დასაჯება-sanction;
- ტირაჟირება- tirage(French);
- პენიტენციური- penitentiary;
- ინიცირება- initiate;
- ელექტორალური- electoral;
- მრავალკონფესიური-confessional;
- ტრანზაქციული- transactional;
- მრავალვექტორული- vectorial;
- პოლარიზებული- polarized;
- ოპონირება-oppose;
- კონცეპტუალური-conceptual;
- ფორსირებულობა-force;
- პუტინისტური-putinist;
- სტალინისტური-stalinist;
- კორუმპირება- corruptible;
- მარეგლამენტირებული-regimented;

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ნეოლოგიზმი ეტიმონის სუფიქსსაც ინარჩუნებს და მიმღები ენის სუფიქსსაც იმატებს. ჩემს კვლევაში ამის მაგალითებია შემდეგი ნეოლოგიზმები:

- > პუტინისტური-პუტინ-ისტ-ურ-ი-Putin-ist;
- > სტალინისტური-სტალინ-ისტ-ურ-ი-Stalin-ist;

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ -ისტ სუფიქსი ქართულშიც აქტიურად გამოიყენება რაიმე მოძღვრების, მიმდინარეობის მიმდევრობის მნიშვნელობის აღსანიშნად.

რაოდენობრივი ანალიზის გამოყენებით დავადგინეთ, რომ დაახლოებით 39,2% სრული ტრანსმორფემიზაციის შემთხვევებია, 41,1%- ნულოვანი ტრანსმორფემიზაციის, ხოლო 19,6%-კომპრომისული ტრანსმორფემიზაციისა;

III. პოლიტიკური ნეოლოგიზმების მანარმოებელი დერივაციული და ფლექსიური აფიქსების ანალიზი

ჭუმბურიძეს(1990:211) თანახმად სიტყვა შეიძლება ორნაირად შეიცავლოს: 1.გრამატიკულად, რასაც ფლექსიას უწოდებენ და 2.ლექსიკურად, რასაც დერივაციას უწოდებენ. სიტყვათნარმოება კი გულისხმობს სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის ცვლილებას დერივაციული აფიქსების გამოყენებით.

განვიხილოთ ჩემს მიერ წარმოდგენილი ცხრილი II-ის მიხედვით პოლიტიკური ნეოლოგიზმების დერივაციული და ფლექსიური აფიქსების მნიშვნელობა და დანიშნულება:

პოლიტიკურ ნეოლოგიზმებში გამოყოფილი დერივაციული და ფლექსიური აფიქსები(ცხრილიII)

-ურ, -ელ	-ობა, -ება	სა-ეთ	-აცია	-იზმ	პრო- -,ანტი-
პრო- დასავლ- ურ-ი	კულტი ვირ-ება	სა-ნაც- ეთ-ი	მოდე რ-აცია	კონფო რმ-იზმ-ი	პრო - დასავლუ რი
ინიცი რებ-ულ-ი	ფორსი რებულ-ობა		მედი- აცია	იზოლა ციონ-იზმ-ი	პრო -რუსული

პოლიტიკურ ნეოლოგიზმებში გამოყოფილი დერივაციული და ფლექსიური აფიქსები(ცხრილიII)

-ურ, - ულ,-ელ	-ობა, - ება	სა-ეთ	-აცია	-იზმ	პრო -,ანტი-
ელექ ტორალ- ურ-ი	ოპონი რ-ება		ევრო ინტეგრ- აცია	პუტინ- იზმ-ი	ანტი - დასავლუ რი
მრავა ლ- კონფესი- ურ-ი	ინიცირ -ება		დემო ნიზ-აცია		
ტრანზ აქცი-ულ-ი	სპეკულ ირ-ება		იმპლ ემენტ-აცია		
ანტი- დასავლ- ურ-ი	ტირაჟი რ-ება		ალოკ -აცია		
მრავა ლ- ვექტორ- ულ-ი	და- სანქცირ-ება		ფრუს ტრ-აცია		
პრო- რუს-ულ-ი	ნაცმოდ რა-ობა		უზურბ -აცია		
პოლა რიზებ-ულ- ი			ლეგი ტიმ-აცია		

პოლიტიკურ ნეოლოგიზმებში გამოყოფილი დერივაციული და ფლექსიური აფიქსები(ცხრილიII)

-ურ, - ულ,-ელ	-ობა, - ება	სა-ეთ	-აცია	-იზმ	პრო -,ანტი-
კონცე პტუალ-ურ- ი			სტაგნ -აცია		
პუტინ ისტ-ურ-ი			დეოკ უპ-აცია		
სტალ ინისტ-ურ-ი					
რელე ვანტ-ურ-ი					
კლემ ტოკრატი- ულ-ი					
კორუ მპირებ- ულ-ი					
ინოვა ტორ-ულ-ი					
მა- რეგლამენ ტირებ-ელ- ი					

პოლიტიკურ ნეოლოგიზმებში გამოყოფილი დერივაციული და ფლექსიური აფიქსები(ცხრილიII)

-ურ, - ულ,-ელ	-ობა, - ება	სა-ეთ	-აცია	-იზმ	პრო -,ანტი-

გამყრელიძე(2003:180) ფუნქციის მიხედვით გამოყოფს ორი ტიპის მორფოლოგიურ კონსტრუქციას: 1. წარმოქმნა ანუ დერივაცია, 2. მიმოხრა ანუ ფლექსია. დერივაციული მორფები წარმოქნიან ახალ სიტყვებს ანუ სიტყვანარმოებითი მორფები არიან, ხოლო ფლექსიური მორფები ახალ ფორმებს წარმოქმნიან, შესაბამისად ფორმანარმომქნელი მორფები არიან. მაგალითად, ზოგიერთ პოლიტიკურ ნეოლოგიზმს აქვს დერივაციული პარადიგმა: რეგლამენტი-რეგლამენტირ-ება=მა-რეგლამენტირებ-ელ-ი, კორუმპირ-ება=კორუმპირებ-ულ-ი, ინიცირ-ება-და=ინიცირ-ება-ინიცირებ-ული და ა.შ. ხოლო ამის პარალელურად ნასესხები და დერივაციით მიღებული სიტყვები გვხვდება ფლექსიურ პარადიგმაშიც. მაგალითად, მოდერნიზატორ-ი=მოდერნიზატორ-მა, კორუმპირებულ-ი=კორუმპირებულ=მა=კორუმპირებულ-ებ-ი-კორუმპირებულ-ებ-მა, ნაც-ი=ნაც-ებ-ი=ნაცებ-მა=ნაც-ებ-ს, ქოც-ი=ქოც-მა=ქოც-ებ-ი=ქვც-ებ-მა და ა.

ახლა გავანალიზოთ კვლევის დროს დაფიქსირებული დერივაციული მორფემების მნიშვნელობა(ჭუმბურიძე, 1990:212-244):

-ურ(დისიმილაციით -ულ) მთარგმნელობითი პრაქტიკის დამსახურებით ხშირად დაერთვის უცხო წარმომავლობის სახელებს და აწარმოებს სათანადო ნიშან-თვისების გამომხატველ ზედსართავ სახელებს: ინიცირებული, ელექტორალური და ა.შ.

-ობა, -ება სუფიქსი აწარმოებს აბსტრაქტულ ცნებებს, ასევე გამოხატავს კრებითობას; ნაცმოდრაობა, ფორსირებულობა, კულტივირება და ა.შ.

სა-ეთ კონფიქსი ზოგადად აწარმოებს გეოგრაფიულ სახელებს. -ეთ ცალკე კრებითობას გამოხატავს, ხოლო სა-დანისხულების მანარმოებელი პრეფიქსია: სანაცეთი.

-აცია უცხო აფიქსი, რომელიც უცხო წარმომავლობის სახელებთან გამოიყენება: მედიაცია, მოდერაცია და ა.შ.

-იზმ ასევე უცხო (ბერძნული) სუფიქსია, რომელიც გვხვდება ძირითადად ნასესხებ სიტყვებთან და გამოხატავს რაიმე განმსაზღვრელი, დამახასიათებელი ნიშნის მქონებლობას და მოძღვრებას, მიმდინარეობას ვინმე პიროვნების სახელის ან დებულების: პუტინიზმი, კონფორმიზმი და ა.შ.

ისტ-ძველი ბერძნული სუფიქსია და გამოხატავს რაიმე მოძღვრების, მიმდინარეობის მიმდევარს, მომხრეს: პუტინისტი, სტალინისტი.

პრო- ლათინური პრეფიქსია და აღნიშნავს რაიმე მოძღვრების მიმდევარს, მომხრეს: პრორუსული, პროდასავლური.

ანტი- საერთაშორისო აფიქსოვლია და გამოხატავს რაიმეს საწინააღმდეგოს: ანტიდასავლური.

როგორც ვხედავთ, ნასესხები და ქართულ რეალობაში შექმნილი პოლიტიკური ნეოლოგიზმების უმრავლესობა აწარმოებს ახალ ფორმებს ქართული და უცხო წარმომავლობის შემდეგი დერივაციული სუფიქსების, პრეფიქსების დართვით: -ურ, -ულ, -ელ, -ობა, -ება, -აცია, -იზმ, პრო-, ანტი-, სა-ეთ.

რაც შეეხება ფლექსიურ (გამყრელიძე, 2003:182)მორფემებს, ძირითადად გვხვდება სახელობითი ბრუნვის გამოხატველი სუფიქსი -ი, და მრავლობითი რიცხვის მანარმოებელი სუფიქსი -ებ: ნაცე-ებ-ი, ქოც-ებ-ი.

ქართულში და ასევე სხვა ენებშიც, კომპოზიცია ლექსიკის გასამდიდრებლად ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული გზაა.

ახალი სიტყვების შესაქმნელად, გარდა დერივაციული აფიქსებისა, სიტყვათწარმოებაში, აქტიურად გამოიყენება კომპოზიცია ანუ თხზვა(ჭუმბურიძე, 1990:247-248). ეს გულისხმობს ორი ან მეტი ფუძის/სიტყვის შეერთებით ახალი სიტყვის მიღებას. შესაბამისად, მიღებულ ლექსიკურ ერთეულს ქართულში კომპოზიტს ანუ რთულ სიტყვას უწოდებენ. 2 ტიპის კომპოზიტებს გამოყოფენ: 1. რედუპლიკაცია(ფუძის გაორკვევით მიღებული კომპოზიტები) და ორი ან მეტი ფუძის/სიტყვის გაერთიანებით მიღებული კომპოზიტები. ჩემს საკვლევ მასალაში ფიქსირდება მე-2 ტიპის კომპოზიტები, ამიტომ გავაანალიზებ მისი შექმნის პრინციპებს და დანიშნულებას.

შინაარსობრივი თვალსაზრისით კვლევაში დაფიქსირებული პოლიტიკური ნეოლოგიზმები ერთცნებიანია, რაც გულისხმობს, რომ ის სემანტიკურ მთლიანობად

არის ქცეული: მრავალვექტორული, მრავალკონფესიური, ბიომონიტორინგი, ევროინტეგრაცია.

კომპოზიტების შემადგენელი კომპონენტების მიხედვით არსებობს სხვადასხვა ტიპის კომპოზიტები, იმის მიხედვით თუ ეს კომპონენტები რა მეტყველების ნაწილებს მიეკუთვნება(იხ. ცხრილი III):

- სუბსტანტიური(არსებითი სახელი+არსებითი სახელი)-ინტერნეტპორტალი;
- სუბსტანტიურ-ადიექტიური(ზედსართავი სახელი+არსებითი სახელი ან პირიქით) ევროინტეგრაცია, ბიომონიტორინგი, ნაცმოძრაობა და სხვ.
- ნუმერალურ-ადიექტიური(რიცხვითი სახელი+ზედსართავი სახელი): მრავალვექტორული, მრავალკონფესიური.

პოლიტიკური ნეოლოგიზმების კომპოზიტების ტიპები(ცხრილი III)

სუბსტანტიურ-ადიექტიური	სუბსტანტიური	ნუმერალურ-ადიექტიური
ნაცმოძრაობა	ინტერნეტპორტალი	მრავალკონფესიური
ევროინტეგრაცია		მრავალვექტორული
ენჯეოსექტორი		
ბიომონიტორინგი		

-
-
-
-

o პოლიტიკური ოკაზიონალიზმებიდან პოლიტიკურ ნეოლოგიზმებამდე

ოკაზიონალიზმები ნეოლოგიზაციის შემთხვევაა, მხოლოდ შემდეგი განმასხვავებელი ნიშნით: ისინი ერთი კონკრეტული შემთხვევისთვის შექმნილი სიტყვებია და გამოიყენება, როგორც სტილისტური ხერხი. ის მეტ სიმძაფრეს სძენს გამონათქვამს თუ სიტყვას. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ისინი ვერ იმკვიდრებენ თავს ენის ლექსიკაში. ამის საპირისპიროდ, გვაქვს შემთხვევები, როდესაც ისინი ნეოლოგიზმის სტატუსს იპოვებენ და ლექსიკონებშიც კი ფორმდებიან.

დუმბაძის (2017:9) მოსაზრებით ოკაზიონალიზმები ახალი ლექსიკური ერთეულების შექმნის პროცესში შუალედური რგოლია. ჯერ იქმნება სავარაუდო ახალი სიტყვა, შემდეგ გადადის ახალ საფეხურზე-ოკაზიონალიზმი და ბოლოს-ნეოლოგიზმი.

როგორც დუმბაძე (2017:28) აღნიშნავს, ოკაზიონალიზმების შექმნისას ავტორი გამიზნულად არღვევს ენის ნორმებს რომ უფრო მეტი გამოხატველობითი ფუნქცია მიანიჭოს მას. პოლიტიკურ ტექსტებში კი ოკაზიონალიზმები ძირითადად ირონიას ემსახურება, მის “შემქმნელს” ეხმარება შერბილებულად გადმოსცეს სათქმელი.

როგორც აღვნიშნე, ოკაზიონალიზმების მთავარი დანიშნულება მკითხველზე/მსმენელზე დიდი გავლენის მოხდენა და დაინტრიგებაა. შესაბამისად, პოლიტიკური ნეოლოგიზმებიც ამ მიზნით იქმნება და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხშირად ადგილობრივად, პოლიტიკურ სივრცეში შექმნილი კომპოზიტები პოლიტიკური ოკაზიონალიზმებია.

ქართულ პოლიტიკურ სივრცეში შექმნილი სიტყვები და ფრაზები-სანაცეთი, ქოცები, ნაცები, რუსული ოცნება, სწორედ პოლიტიკური ოკაზიონალიზმების მაგალითებია, რომლის მიზანიც ვფიქრობ ცინიზმის შეფარულად გამოხატვაა. ამავდროულად, ეს სიტყვები უკვე რამდენიმე წელია აქტიურად გამოიყენება, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი გადავიდნენ შემდეგ საფეხურზე და უკვე პოლიტიკურ ნეოლოგიზმებს წარმოადგენენ.

დასკვნა

ქართულ ციფრულ მედია-დისკურსში მოპოვებული პოლიტიკური ნეოლოგიზმების გაანალიზების შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ:

- მედია-დისკურსი, განსაკუთრებით კი, ციფრული მედია-დისკურსი დიდ როლს თამაშობს როგორც პოლიტიკური ნეოლოგიზმების შექმნაში, ასევე, მათ გავრცელებაში;
- ზოგადად პოლიტიკოსები და მათ შორის ქართველი პოლიტიკოსებიც გამიზნულად იყენებენ ნეოლოგიზმებს, სათქმელის შესანიღბად, ცინიზმის გამოსახატად და პოტენციურ ამომრჩეველზე ზემოქმედებისთვის.
- ქართულ პოლიტიკურ სივრცეში შექმნილი პოლიტიკური ნეოლოგიზმები თავდაპირველად შეიქმნა, როგორც პოლიტიკური ოკაზიონალიზმები, რომლის მიზანიც კონკრეტული პარტიების მიმართ ცინიზმის გამოხატვა იყო. თუმცა რამდენადაც ისინი წლებია გამოიყენება და გაუჩინარდა ერთი კონკრეტული გამოყენების შემთხვევის შემდეგ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი გადავიდნენ შემდეგ საფეხურზე და მოიპოვეს პოლიტიკური ნეოლოგიზმების სტატუსი. ასეთი ნეოლოგიზმებია: სანაცეთი, ნაცები, ქოცები;
- ჩემს მიერ მოპოვებულ ემპირიულ მასალაში წარმოდგენილი პოლიტიკური ნეოლოგიზმების უმრავლესობა არსებითი სახელია, შემდეგ კი რაოდენობრივად მოდის ზედსართავი სახელები; კერძოდ, რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ასეთი შედეგი ფიქსირდება: არსებითი სახელი-66,1%, ზედსართავი სახელი-31%, გმნა-2%, ფრაზა-2%;
- ნეოლოგიზმების წარმოების გზების კლასიფიკაციის მიხედვით დავადგინეთ, რომ აღნიშნულ კვლევაში არსებული პოლიტიკური ნეოლოგიზმების უმრავლესობა სესხების გზითაა მიღებული ინგლისური ენიდან. მაგალითად, მედიაცია, მოდერაცია, ინიცირება და სხვ. რაც შეეხება მეორე გზას, გვხვდება დერივაციული აფიქსებით ნაწარმოები, მაგალითად სანაცეთი. ასევე კომპოზიციით ნაწარმოები, მაგალითად, მრავალვექტორული, ნაცმოძრაობა. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ასეთი შედეგი ფიქსირდება: 83%-სესხების მაგალითია, 16.3% კი დერივაციის და კომპოზიციის;
- სესხების ტიპების მიხედვით ჩემს მიერ მოძიებული პოლიტიკური ნეოლოგიზმების უმრავლესობა მიეკუთვნება პირდაპირი სესხების ტიპს, კონკრეტულად კი სრულიად არაადაპტირებულ სიტყვებს, მაგალითად, ენჯეო სექტორი, ვიზიტორი, აქტორი. ასევე გვხვდება პირდაპირი სესხების მეორე ტიპის-სრულად ინტეგრირებული სიტყვების მაგალითები-ინიცირება, დაინიცირება, ინიცირებული, რეგლამენტი, რეგლამენტირება, მარეგლამენტირება;

➤ მორფოლოგიური ადაპტაციის ტიპების მიხედვით კვლევაში არსებული პოლიტიკური ნეოლოგიზმები სამივე ტიპს მიეკუთვნება. შესაბამისად, გვაქვს: 1. ნულოვანი ტრანსმორფემიზაციის შემთხვევები, მაგალითად ჰანელი, აქტორი, ვიბიტორი; 2. კომპრომისული ტრანსმორფემიზაცია: ალოკაცია, მედიაცია, მოდერაცია; 3. სრული ტრანსმორფემიზაცია: კლექტოკრატიული, ინოვატორული. რაოდენობრივი თვალსაზრისით დაახლოებით 39,2 % სრული ტრანსმორფემიზაციის შემთხვევებია, 41,1%- ნულოვანი ტრანსმორფემიზაციის, ხოლო 19,6%- კომპრომისული ტრანსმორფემიზაციისა;

➤ კომპოზიციის გზით შექმნილ პოლიტიკურ ნეოლოგიზმებში გვხვდება როგორც ქართული სიტყვების შერწყმით მიღებული კომპოზიტები, მაგალითად, ნაცმოძრაობა, პროდასავლური, ანტიდასავლური, პრორუსული. ასევე ქართული და ნასესხები სიტყვის შერწყმით ნაწარმოები კომპოზიტები, მაგალითად, მრავალვექტორული, მრავალკონფესიური, ევროინტეგრაცია, ბიომონიტორინგი.

➤ კვლევის ფარგლებში გაანალიზებული პოლიტიკური ნეოლოგიზმების უმრავლესობა ნაწარმოებია შემდეგი დერივაციული და ფლექსიური აფიქსებით. დერივაციული: -ობა, -ება, -ურ, -ულ, -ელ, -აცია, -იზმ, პრო-, ანტი-, სა-ეთ. ფლექსიური: -ი, -ებ;

მომავალი კვლევის შემდეგი ეტაპი იქნება ინგლისურენოვან ციფრულ მედია-დისკურსში პოლიტიკური ნეოლოგიზმების იდენტიფიცირება, მათი მორფოლოგიური ანალიზი და წინამდებარე კვლევაში გაანალიზებულ ქართულ პოლიტიკურ ნეოლოგიზმებთან შედარება-შეპირისპირებითი ანალიზი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გამყრელიძე, თ., კიკნაძე, ზ., შადური, ი., & შენგელაია, ნ. (2008). *თეორიული ენათმეცნიერების კურსი* (2nd ed., pp. 178-183). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. <https://doi.org/ISBN 978-9941-13-019-9>
2. გოგოლაშვილი, გ., ჭუმბურიძე, ნ., არაბული, ა., სუხიშვილი, მ., მანჯგალაძე, მ., & ჯორბენაძე, ნ. (2011). *თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია* (pp. 8-29, 211-250). თბილისი. <https://www.ice.ge/new/pages/samples/books/Binder4.pdf>

3. დუმბაძე, ს. (2017). ლინგვისტური ნეოლოგია და ოკაზიონალიზმების ფუნქციონირება ინგლისურ და ქართულ ენებში [ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი]. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ევროპეისტიკის დეპარტამენტი. https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_8319_2.pdf
4. დუნდუა, თ. (2022). სოციალური ქსელი და ნეოლოგიზმები. *საენათმეცნიერო ძიებანი*, XLIII(LINGUISTIC PAPERS), 51-57. <https://doi.org/https://openjournals.ge/index.php/lp/article/view/4431/4633>
5. ლომიძე, ვ. (2008). ანგლიციზმების ადაპტაციის თავისებურებები და გავრცელების სფეროები(ქართული ენის მასალაზე) (Publication No. 0175) [დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი]. ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი. <https://www.knia.ge/documents/PhD%20-%20Koba%20Lomidze.pdf>
6. მჭედლიძე, მ. (2019). პოლიტიკური ნეოლოგიზმები მსოფლიო პოლიტიკის ჭრილში და მათი ინგლისურიდან ქართულში ტრანსპოზიციის საკითხი. *სპეკალი*. <https://doi.org/https://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/13/215>
7. ქორიძე, ე. (2023). ნეოლოგიზმების პრობლემატიკა ლექსიკოგრაფიულ ჭრილში(გერმანული და ქართული ენების მასალაზე). *სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი ენა და კულტურა*, (2023: VIII International Scientific Conference "Language and Culture" (II)). <https://doi.org/10.52340/lac.2023.08.85>
8. Algeo, J., & Algeo, A. S. (1991). *Fifty Years Among the New Words: A Dictionary of Neologisms 1941-1991* (pp. 2-14). Cambridge University Press. <https://archive.org/details/fiftyyearsamongn0000unse/page/n275/mode/1up>
9. Akut, K. B. (2020). Morphological Analysis of the Neologisms during the COVID-19 Pandemic. *International Journal of English Language Studies (IJELS)*, 2(3), 1-7. <https://doi.org/ISSN: 2707-7578>
10. BOYKO, Y., & БОЙКО, Ю. П. (2023). SOCIO-POLITICAL NEOLOGISMS OF THE XXI CENTURY: FEATURES OF CREATION AND FUNCTIONING. *Current Issues of Linguistics and Translation Studies*, 163-172. <https://doi.org/10.31891/2415-7929>
11. Cabre, M. T. (1999). *Terminology Theory, Methods and Applications* (pp. 203-210). John Benjamins B.V. DOI:<https://doi.org/10.1075/tlrp.1>

12. Creese, S. (n.d.). *Neologisms in Online British-English versus American-English Dictionaries*. ResearchGate. <https://www.researchgate.net/publication/326463935>
13. Essina, I. Y. (2020). THE ROLE OF NEOLOGISMS IN POLITICAL DISCOURSE. *RUSSIAN LINGUISTIC BULLETIN* 3 (23) 2020, 9-13. <https://doi.org/10.18454/RULB.2020.23.3.28>
14. Guo , W. (2023). Translation of Chinese Neologisms from the Perspective of Domestication and Foreignization: A Case Study of Chinese Neologisms from 2018 to 2021. *Journal of Education and Educational Research, Vol. 3, No.*, 78-83. <https://doi.org/ISSN:2957-9465>
15. Hadi, S. A. A., & AL-Majdawi, A. M. G. (1994). The Significance of Political Neologisms. *Education College Journal*. DOI:[10.31185/eduj.Vol2.Iss37.1107](https://doi.org/10.31185/eduj.Vol2.Iss37.1107)
16. Hanaqtah, M. F. (2019). Translation of Political Neologisms Coined by Politicians; Issues and Strategies. *Journal of Social Sciences (COES&RJ-JSS)*, 8, 157-168. <https://doi.org/10.25255/jss.2019.8.1.157.168>
17. Haugen, E. (1950). The Analysis of Linguistic Borrowing. *Linguistic Society of America, Vol. 26, No. 2*, 210-231. <https://doi.org/10.2307/410058>
18. Hromovenko, V. V. (2022). DESIGNING THE LINGUISTIC DATABASE “POLITICAL NEOLOGISMS IN ENGLISH”. *South ARchive*, (Выпуск Issue– LXXXIX), 58-65. <https://doi.org/10.32999/ksu2663-2691/2022-89-7>
19. Huang, D., & Xia, J. (2021). Translation of Diplomatic Neologisms from the Perspective of Manipulation Theory. *International Journal of English Linguistics, Vol. 11, No. 6*, 130-139. <https://doi.org/10.5539/ijel.v11n6p130>
20. Katermina, V. (2020). Modern Nominative Processes In English Academic Discourse. *The European Proceedings of Social and Behavioural Sciences*, 613-618. <https://doi.org/10.15405/epsbs.2020.08.72>
21. Konopelkina, O. (2017). Comparative analysis of Ukrainian and English neologisms in the context of political discourse. *International Journal of Multilingual Education*, 23-30. <https://doi.org/E ISSN 1512-3146>
22. Lin, M. C. (2013). A NEW PERSPECTIVE ON THE CREATION OF NEOLOGISMS. *Acta Linguistica Asiatica, 3*, 47-60. <https://doi.org/10.4312/ala.3.1.47-60>
23. Mattiello, E. (2016). Analogical neologisms in English. *Italian Journal of Linguistics*, 103-142. https://www.italian-journal-linguistics.com/app/uploads/2021/05/4_Mattiello.pdf

24. Mirtskhulava, L., & Mashia, N. (2023). LINGUISTIC PROCESSES IN GEORGIAN MEDIA AND LITERATURE OF XXI CENTURY. *Sworld-Us Conference Proceedings, 1(uscl7-01)*, 138–142. <https://doi.org/10.30888/2709-2267.2023-17-01-013>
25. Mohsin, K. (2013, June 6). Neologisms in Urdu A Linguistic Investigation of Urdu Media. Languageinindia. <http://www.languageinindia.com/>
26. Nurdiani, P. R., & Fauzan, U. (2020). Morphosyntactic Analysis of Political News on Online Tempo. *Journal of English Language Teaching and Linguistics, Vol. 5(2)*, 249-260. <https://doi.org/e-ISSN: 2502-6062, p-ISSN: 2503-1848>
27. Ryabchenko, N. A., Katermina, V. V., & Malysheva, O. P. (2019). Political content management: New linguistic units and social practices. *Tandfonline.com, VOL. 4, NO. 3*, 305–322. <https://doi.org/10.1080/23753234.2019.1664916-2023-27-36>
28. Senapati, A., & Nag, A. (2022, April 28). *Neologism Related to COVID-19 Pandemic: A Corpus-Based Study for the Bengali Language*. ResearchGate. <https://www.researchgate.net/publication/360158605>
29. Shamne, N. L., & Rets, I. V. (2015). The Problem of Studying Neologisms and Their Influence on the Ecology of Language. *Vestnik Volgogradskogo Gosudarstvennogo Universiteta Serija 2 Jazykoznanije*, 72-77. <https://doi.org/http://dx.doi.org/10.15688/jvolsu2.2015.1.8>
30. Tannen, D., Hamilton, H. E., & Stiffen, D. (2015). *The Handbook of Discourse Analysis* (1st ed., pp. 775-822). Wiley Blackwell. https://edisciplinas.usp.br/pluginfile.php/4966500/mod_resource/content/1/Deborah%20Schiffrin%2C%20Deborah%20Tannen%2C%20Heidi%20E.%20Hamilton%20The%20Handbook%20of%20Discourse%20Analysis.pdf
31. Würschinger, Q., * (2021, November 1). Social Networks of Lexical Innovation. Investigating the Social Dynamics of Diffusion of Neologisms on Twitter. *Frontiers in Artificial Intelligence*. Retrieved July 13, 2021, from <https://doi.org/10.3389/frai.2021.648583>
32. Zailani, A. A. (2019). Coinage and Neologism in Hausa Political Programs: A Sociolinguistics Perspective. *REGISTER JOURNAL, Vol. 12, No. 2*, 238-252. <https://doi.org/10.18326/rgt.v12i2.238-252>

გამოყენებული კორპუსები

<https://corp.dict.ge/>

<http://gnc.gov.ge/>

გამოყენებული ლექსიკონები

<https://www.ena.ge/>

<http://www.nplg.gov.ge/>

<https://dictionary.cambridge.org/>

გამოყენებული გაზეთების და გადაცემების ლინკები

<https://geotimes.ge/>

<https://imedinews.ge/>

https://www.facebook.com/TvMtavari/?locale=ka_GE

<https://www.ambebi.ge/>

<https://palitraneews.ge/>

<https://palitraneews.ge/program/169-reziume/>

<https://mtavari.tv/ganskhvavebuli-aqcentebi/>

<facebook.com/TvMtavari/videos/ლამის-მთავარი-ეკა-კვესიტაძესთან-ერთად>

ავტორის შესახებ:

ეკა ფუხაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხი, დოქტორანტურის პირველი კურსის სტუდენტი.

E-mail: ekapukhashvili123@gmail.com

About the author:

Eka Pukhashvili, Bachelor's and Master's degree in English Philology from the faculty of Humanities at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, first-year doctoral student.

E-mail: ekapukhashvili123@gmail.com

სამადლობელი:

მინდა მადლობა გადავუხადო პროფესორ მანანა რუსეიშვილს, რომელმაც გამინია ხელმძღვანელობა სტატიის მომზადებისას.

Acknowledgments:

I would like to express my gratitude to Professor Manana Ruseishvili, who supervised me in the preparation of this article.